სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონი თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, აბაშის მუნიციპალიტეტში შპს ,,ფორეჯი I"-ის თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (წყლის მოცულობით 924 000 მ³) ექსპლუატაციაზე 2021 წლის 15 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-1641 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სატბორე მეურნეობის გარკვეული მონაკვეთი/ადგილი დროთა განმავლობაში შეივსო მდ. ცხენისწყლის ნატანით/შლამით, რის გამოც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება თევზის მოშენების სათანადო პირობების შექმნა. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შპს ,,ფორეჯი I"-ის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნატანით (ქვიშა-ხრეშით) შევსებული ტბორის გარკვეული მონაკვეთის დაღრმავებითი სამუშაების წარმოებასთან დაკავშირებით. დაღრმავებით სამუშაოებს დაქვემდებარებული მონაკვეთი მდებარეობს სოფ. ქოლობანის ტერიტორიაზე (40.14.32.007 (ფართობი - 763 258 კვ.მ)) კომპანიის საკუთრებაში არსებულ ერთ-ერთ ტბორში.

სააგენტოს 28.03.2023 წლის N21/2144 წერილის მიხედვით - ვინაიდან შპს ,,ფორეჯი I"-ის საქმიანობის გზშ-ის ანგარიშით და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით პროექტის განხორციელება არ მოიცავდა რაიმე დამატებითი ხელოვნური დაღრმავების სამუშაოების წარმოებას, დაგეგმილი საქმიანობა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (წყლის მოცულობით 924 000 მ³) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს ,,ფორეჯი I"-ის დირექტორი: /ემილი გვაზავა/

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„22" 05 2023 წ.
№ 4529